



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის დს-შ/17-16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების თაობაზე წერილობითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება ითვალისწინებდა წარმომადგენლობას სასამართლოში და ერთ-ერთ პირობად მითითებული იყო, რომ თუკი საადვოკატო მომსახურება შეწყდებოდა მარწმუნებლის მოთხოვნით, წარმომადგენლობისთვის გადახდილი თანხა მას არ დაუბრუნდებოდა. კლიენტმა ადვოკატს, საადვოკატო მომსახურების საზღაურის სახით, გადასცა 1000 ლარი. ადვოკატმა განახორციელა იურიდიული მოქმედებები, თუმცა კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა და აღნიშნული საფუძვლით კლიენტმა ხელშეკრულება ცალმხრივად გააუქმა. ადვოკატმა კლიენტისაგან მიღებული თანხა არ დააბრუნა.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა აპკ-ის 8.15 მუხლი. რადგან კლიენტმა ცალმხრივად შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, ადვოკატს უნდა გამოექვითა მის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურებისთვის ექვივალენტური სავარაუდო თანხა მიღებული საზღაურიდან, ხოლო ჰონორარის დარჩენილი ნაწილი უნდა დაებრუნებინა კლიენტისათვის. ეთიკის კომისიამ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას იხელმძღვანელა სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, გაითვალისწინა, რომ ადვოკატმა ვერ გააცნობიერა ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი, უარი განაცხადა კლიენტთან მორიგებაზე და ადვოკატს დააკისრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს. სახელშეკრულებო დათქმა, რომელიც ითვალისწინებს მარწმუნებლის ინიციატივით მომსახურების შეწყვეტისას ადვოკატისათვის გადახდილი თანხის დაუბრუნებლობის პირობას ეწინააღმდეგება აპკ-ის 8.15 მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ ნორმას. აღნიშნული მუხლის თანახმად კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს გამომუშავებული ჰონორარის გარდა ყველაფერი, რაც მან მიიღო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას. ამავე შინაარსის დათქმას ითვალისწინებს დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესები. სადისციპლინო პალატა განიხილავს ადვოკატის მხრიდან პროფესიული ქცევის სტანდარტის დაცულობის საკითხს, რომელშიც მოიაზრება ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა. ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმება მოიცავდა მარწმუნებლის ინტერესების დაცვას სასამართლოში. ადვოკატმა განახორციელა იურიდიული მოქმედებები, თუმცა ეს ქმედებები არ მოიცავდა სასამართლოში წარმომადგენლობით ფუნქციის განხორციელებას.

¹ <https://gba.ge/pdf/5c4c0b441f6a5.pdf/5c4c0b441f6a5.pdf>

ადვოკატის მიერ არ შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულება. ამის მიუხედავად მას კლიენტისათვის არ დაუბრუნებია გამოუმუშავებელი ჰონორარი. დამატებით, ადვოკატმა დისციპლინური საქმის განხილვისას არ ისარგებლა მიღებული წინადადებით კლიენტთან მორიგებით დაესრულებინა საქმე. სადისციპლინო პალატამ ასევე არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია ეთიკის კომისიის მიერ უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში. ადვოკატი უთითებდა იმ არგუმენტზე, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას. პალატამ განმარტა, რომ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტილად მიჩნევსათვის საკმარისია მხოლოდ კლიენტის მიერ განხორციელებული ისეთი ქმედება, რომელიც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მას აღარ სურს ხელშეკრულების გაგრძელება.

დასკვნა

ადვოკატის მიერ დარღვეულია აპკ-ის 8.15 მუხლი. ეთიკის კომისიის მიერ დაკისრებული სახდელი - გაფრთხილება კანონიერი და სამართლიანია და არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.